# ვაზის მოვლა, ღვინის დაყენება

... ახლა, რაც მოწმე უ̂არ, ახლა ვწამლით უ̂აზს შუ̂იდჯერ, ექუ̂სჯელ, ხუთჯერ, მამაჩემის... რომ იყო, მაგალითათ, სამჯერ მეტად ვაზს არ უ̂წამლიდი, და მაინც მოდიოდა. მე არ უ̂იცი, არ მახსოუ̂ს, მაგრამ, გადმოცემით ის ვიცი, რო სასხლეუ̂ს უძახოდენ, დანასავით იყო ეს, ვენახის მაკრატელი არ ყოფილა მაშინ, სეკატორები, ხოდა ამით გა... დასხეპდენ, არც ახოუ̂დენ თურმე არც ერთი, არც მეორე, იმიტო რო ბუნებრივი კლიმატური პირობები იყო ჯანსაღი და კარქი. უ̂აზს არც ანამყენებდენ კიდე, ადრე. აგერაც ლერწს, მემეწონებოდა, მაგალითათ, თქუ̂ენ ოჯახში მოვედი, წევიღებდი ამ ლერწს, მოუ̂ჭრიდი, დავფლაუ̂დი — გეიხარებდა, მარა მერე შამოუ̂იდა ფილოქსერა. ეს ფილოქსერა შამოუ̂იდა ამერიკიდან, და̄ვადება, გახთა ხალხი იძულებული და ჭამდა ამას, ამ გემრიელმა უ̂ერ უძლო და ეს მწარე მიტო შამოიტანეს მერე, რო წარეზე მოანამყენეს, მეცნიერულათ დაასაბუთეს, რო ეს უძლეფს ამას, ჩემო ბატონო და მოანამყენეს ზეთ და ფილოქსერა სანამდინ არ იყო ჩუ̂ენთან, მანემ მონამყენებაც არ იყო. ე ფილოქსერა რო შამოუ̂იდა, მის შემდექ დეიწყეს მონამყენება და მეურნეობები, კოლმეურნეობები, საკუთარი უ̂ოჯახები აწარმოებდენ ამას და ამ და̄ვადებასთან დაკაუ̂შირებით შამოუ̂იდა ეს. შემეკითხეთ უ̂აზის მოუ̂ლა-პატრონობის შესახეფ. უ̂აზი ისხლება უ̂ორჯერ. შენ, შენ ნებაზეა დამოკიდებული. თუ ყივნები არ არის, შამოდგომაზე გაუ̂სხლაუ̂თ უ̂აზს, თუ ყიუ̂ნები არის, მაგალითათ, რაი... დარაიონების მიმართ ვლაპარაკოფ და სოფლის მიმართულებით ვლაპარაკოფ, თუ არა და ად...ადრე გაზაფხულზე გასხლაუ̂თ. უ̂აზი ისხლება უ̂ორნაირი ფორმით. ჲეთს უძახიენ გიოს წეს, მეორეს უძახიენ ჯამისებურ გასხუ̂ლას. ჯამისებური გასხუ̂ლის დროს ფორმირება არი სულ სხუ̂ანაირი. უ̂აზს ჭიგოს რო მუუდგამ, ანუ სარს რო უძახით ჩუ̂ენ. და ისე აგრონომიაში ჭიგო წერია, დავასოფთ ამას, უ̂აზი ესე, დაუ̂ნეკაუ̂თ სამ-ოთხ კუ̂ირტზე, ხოდა რუ̂ ამოიყრის, თავის ამონაყარს მერე მივაკრაუ̂თ ამ თაუ̂ის სარზე. წეღან რო ვთქუ̂ი, გიოს წესი, ეს არი უ̂ორმხრივი გასხლა შპალერზე გადაყუ̂ანით. უ̂აზი გეისხუ̂ლება თაუ̂ისი სიძლიერისა და მიხედუ̂ით. რო შეხედო უ̂აზი, მე, თუ ძლიერია, უ̂ორ გასაბამს მიუ̂ცემ და ნეკეფს დოუტოვეფ, თუ არაა ძლიერი, ჲერთ გასაბამს მიუცემ, თუკიდე არ.. ზაან სუსტია, ერთ ლერწს გოუშუ̂ეფ, ეს შენ შეხედულებაზეა დამოკიდებული. გასხუ̂ლა ასე მთაუ̂რდება. თუ საშუ̂ალება გაქ, შამოდგომაზე თუ შეიტან ფოსფოროვან სასუქს და კალიუმის სასუქს, ესეც, გააჩნია უნდა თუ არა, ახლა აღარ არი ეს ჩუ̂ენთან, თუ არა ემაგას იღებდენ სპეციალურ ანალიზს — რა ესაჭიროება ამ ნიადაქს, რას რა აკლია — კალიუმი აკლია, ფოსფორი აკლია თუ აზოტი აკლია, ამის შეხედუ̂ით შექონდათ, მაგრამ დღეს ახლა ჯერ სად არის მაგდენი ის, ფული, რო აზოტი და ის იყიდო, კალიუმი და ფოსფორი და ის... კოლექტ... კოლექტივები, საბჭოთა მეურნეობის დროს იყო. რაღაჲ ეს ყუ̂ელაფერი გამოგუ̂ელია, ყუ̂ელაზე სრულფასოუ̂ან სასუქს უძახოდენ ჩუ̂ენთან ნაკელს. ნაკელს შეიტან, შამოდგომაზე შეიტან ან ადრე გაზაფხულზე შეიტან. შამოდგომაზე თუ დაბარაუ̂ და დაამუშაუ̂ებ ეს უკეთესია, იმიტო რო ეს ნაკელი გოუდგება ნიადაგში, ნიადაქს, ნიადაგიდან ფესუ̂თა სისტემით ამოწოუ̂ს ეს და უკეთესია, თუ არადა ადრე გაზაფხულზე. აგრეთუ̂ე, რაუ̂არც გითხარით, სასუქი, ფოსფორი და აზოტი და კალიუმი, ეს სამი ელემენტია, მარა სასუქში, ნაკელში ყუ̂ელა ელემენტი შედის ეს. ყუ̂ელა ელემენტი, ხოლო ნაკელი იმაშია ცუდი, რო თუ წუ̂იმიანი წელიწადი იქნა, არა უჭირს რა. თუ წუ̂იმიანი არ იქნა, ფიცხია ნამეტანი და ახურეფს ნიადაქს და იმდენ ეფექტს უ̂ერ იძლეუ̂ა, შეიძლება გახურებულ ნიადაგზე, თუ ბეუ̂რი მოგივიდა ნაკელი. ადრე გაზაფხულზე, ამას რო დავამუ... ბარუ̂ა შამოდგომაზეც შეიძლება, როგორც გითხარით და გაზაფხულის პერიოდშიდაც. ამის შემდექ, პირუ̂ელი თოხნა უნდა ჩაატარო, უნდა გადათოხნო ეს დაბარული და, შეხედაუ̂, თუ თესაუ̂ რამეს, ახლა შით, ახლა არ უნდა დათესო, კანონით უ̂აზში არაფერი არ უნდა დათესო, უნდა იყოს მარტო უ̂აზი თუ გინდა, მარტო უ̂აზი უნდა იყოს მარა, ვინაიდან მიწის ოდენობა არ არი ლობიოსაც ვთესაუ̂თ, სიმიდსაც ვთესაუ̂თ, ხან პამიდორს ვრგაუ̂თ შით, ხან რა და ხან რა. ამიტომ თოხნა შენ გინდა თუ არა, მაინც ეს კულტურები ხო უნდა გათოხნო და უ̂ორ-სამჯერ, თოხნა მაინც

უწეუ̂ს. ახლა მიდის მწუ̂ანე ოპერაციები: უ̂აზი კარგი თუ გინდა რო, რო იყოს და ჩამოაყალიბო, უნდა ჩაატარო მწუ̂ანე ოპერაცია კარგმა მცოდნე ადამიანმა. დედაკაცი იქნება თუ მამაკაცი იქნება, ამას მნიშუ̂ნელობა არა აქ, მხოლოთ უნდა იყო იცოდე, სამამულე სად უნდა დატოუ̂ო და სანაყოფე სად უნდა დატოუ̂ო. პირუ̂ელ ფურჩქნას უძახით უ̂აზის, პირუ̂ელი უ̂ოპერაცია, მწუ̂ანე ოპერაცია, ჩატარდა ეს, ახლა მეორეთ დეიწყება ახუ̂ეუ̂ა, უნდა აახუ̂იო, იმა მხრები აქ, ის უნდა გააცილო, ზედმეტი ფოთლები უნდა გამოაცალო, ამონაყარი თუ აქ, რა ქუ̂ია, შტამბზე, ის უნდა მოაშორო მთლიანათ, ჩემო ბატონო და ეიხუ̂ა. წამლობა პირუ̂ელი, წამლობა მეორე, წამლობა მესამე, წამლობა მეოთხე, წამლობა მეხუთე, მეექუ̂სე და ასე შემდექ, ყოველ ათ დღეში, უძელი ბეჭებო, უძელი ფულო. ასი ლარის მარტუ̂ა შაბიამანი დამჭირდა წელს, ასი ლარის, მოუ̂ა თუ არა იმისი, ვინ იცის, გაგიმართლეფს კაჲ იქნება, შეილება ხუთიათასი კილო მოვიდეს. ვერ გეიგეფ მაგას. ასი ლარის წამალი დამჭირდა-მეთქი, ხომ გელაპარაკებით. დამთაუ̂რდა ეს ოპერაციაც და გეუ̂იდა ეს თუ̂ე. ნიშნიანიძემ რო დაწერა. „გიორგობის თუ̂ეშიო“, ხო. მერე ცის გახსნას უძახით ან თაუ̂ის გადამტუ̂რეუ̂ას და სავალდებულო კი არ არის ეს გადამტუ̂რეუ̂ა, თუ შორ-შორს არის ვაზი, უ̂ორ მეტზე როა დაშორებული, კახეთში, მაგალითათ, მარტო გადაახოუ̂ენ ხოლმე როგორ, მესამე მაუ̂თულზე. რა …… რო მიიღო ე სუყუ̂ელაფერი ცის გახსნას უძახით, გადავახოუ̂თ თაუ̂ს, მაღლა ზეუ̂დან მესამე მაუ̂თულ ზეჲთ. მერე მოვიდა ეს, შემოდგომა, ჩემო ბატონო, უნდა დარეცხო კოხტათ, საწნახელი, ეს, არის ხელსაწურაუ̂ი მაშინებიც, მაშინასაც გამოიყენეფ, შამპანურკომბინატეფში კიდე ქარხანა თაუ̂ის საქმეს აკეთეფს, დეიწყება რთუ̂ელი. შაუ̂ ყურძენს ცალკე დაწურაუ̂, თეთრ ყურძენს ცალკე დაწურაუ̂, ეგ შენი ნება არი, რაუ̂არც გინდა, ისე დააყენეფ, კაი თუ გინდა, დადგეს, კაი ტეუ̂ნები ცალკე უნდა გადაარჩიო, ცოტა ცუდები ცალკე უნდა გადაარჩიო და დგება უკეთესი ღუ̂ინო მასალათ. მერე კაჲ ქორწილი, ჩემო ბატონო, კარგი ხადილი, კარგი ნათლობა, კარგი ამბები, კარგი ქეიფი, აბა, გაკეთებული (ღვინო) არ უ̂იცი და ნატურეს გეტყუ̂ი: < იცინიან > ნატურალური ღუ̂ინო მზადდება — ჭაჭას მიცემ — მაინც მზადდება და ჭაჭას არ მიცემ — მაინც მზადდება. ქარხნული წესით ჭაჭას არ აძლეუ̂ენ შამპაკომბინატებში და ისე ამზადებენ ნატურალურ ღუ̂ინოს, დაწურეუ̂ენ, ბუტებია, კასრებია, ჩაასხავენ შიგ და არი მარტო წუ̂ენი, ჭაჭას სულ აცლიენ, მაგრამ სოფელში უფრო აყენებენ, ჭაჭას აძლევენ. დაუ̂წურეთ ტკბილი, ხომ, ჩავასხით ტკბილი ჭურში. გააჩნია, ახლა, რამდენია ეს ტკბილი, ჰოდა იმისადა მიხედუ̂ით ევიღეფთ და ჩაუ̂ყრით ჭაჭას შით. ჭაჭა უკუ̂ეთესი არი, ეხლა მარცუ̂ალი, ე კლერტო რო აქ, ეს უნდა გამოაცალო. არაფერს არ უკეთეფს ეს, ხოდა, მარტუ̂ა ეს უნდა ჩაყარო, ეს თაუ̂ისი-ისი… უკუ̂ეთესია. მერე წაუ̂ა დუღილის პროცესი, ჭური სულ თუ გააუ̂სე, დეგექცეუ̂ა, არ ივარგეფს, ამიტომ უნდა დააკლო იმოდენი, რო არ ამოგიხეთქოს მაღლა. ყოველდღე თუ არა, ყოველ მეორე-მესამე დღეს, სპეცჲალური დასარევი ჯოხია და უნდა დოურიო იგი. წამოიღეფს ქაფს, ამას და მერე თანდათანობით დეჲწმინდება, ეს წაუ̂ა ჭაჭა ძირს, მერე წიპწა დარჩება, მარცუ̂ალი ზეთ…

დოურიეთ ეს, გავაკეთეთ მთლიანათ, ღუ̂ინო წევიდა თავის ადგილზე და ჭა… ჭაჭა წევიდა თავისკენ და ღუ̂ინო დარჩა თაუ̂ის ადგილზე. ეხლა რას გავაკეთეფთ? ავდგებით, დავახურეუ̂თ სარქუ̂ელს ზეთ, ბადიმეფს უ̂ეძახით აქ, ჩუ̂ენთან, დიდი ჭური თუ არი, უ̂ორგანყოფილებიანია ესე და შუა ზემოთ თუ არა ერთგანყოფილებიანი ბადიმია, ჩემო ბატონო, მოვიტანთ აყალო მიწას უძახით აქ, ჩუ̂ენთან, ამ აყალო მიწას დაუ̂ზილაუ̂თ კოხტათ, ლამაზათ კეტით, აუ̂დგებით, მივიტანთ და დავაფარეფთ ზეთ. მოუტენით იმას, გაუ̂აკეთეფთ, სასულეს დოუტოვეფთ მაინც, რომ კიდე დუღილის პროცესი რო წევიდეს, ან ჭურიდან არ ამოხეთქოს და იმასქნას და ჰაერი მოხუ̂თება და ჩაუ̂ა შით. კიდე რო წაუ̂ა პროცესი, ვნახაუ̂თ რო დუღილი დამთაუ̂რებული აქ და მთლიანათ გადაუ̂გნისაუ̂თ. სილიან, სილას მოვიტანთ, დაუ̂აყრით, ცელოფანას დოუფენთ ჯერ, ზედ, დაუ̂აყრით ზეთ, თუ ის არი…ქარიანი ამბები და რამე, ამ სილას წყალ დავასხამთ, რომ ეს მიწა არ გახმეს, ის ამის გულისთუ̂ინ, მერე, ამას კიდო მოულა უნდა, ასე არ არი, ძმაო. ახლა გადაღება უნდა ღუ̂ინოს — ერთი ოპერაცია — დეჲდუღა, ყუ̂ელაფერი, ყუ̂ელაფერი, ხოდა. ჭაჭა უნდა გამოვაცალოთ — სხუ̂ა

ჭურს გაუ̂რეცხაუ̂თ, ან კასრი გუ̂ექნება, ბოჭკა გუ̂ექნება — რაც არ უნდა იყოს ჰოდა, გედეუ̂იღეფთ შიგ, ამა. დარჩა ჭაჭა ძირს, დარჩა დანალექი, ამ ჭაჭას ამოვიღეფთ, უ̂ოტკათ გამოუ̂ხთით, ამ ღუ̂ინოს მერე ვიხარჯაუ̂თ, რაუ̂არც გუ̂ინდა, ნებისმიერათ. ასეთია მისი ძირითადი ოპერაცია, მარამ სიტყვათ, სათქმელათ იოლია, მარა საქმეთ არი ძაან ძნელი. ხო...

ჭრაქია დო̄ვადება, ავანტყოფობა ვაზის, ვაზის ავანტყოფობა, ფოთელს გახუ̂რიტაუ̂ს, წუ̂იმიან დღეეფში ჩთება ის, ჩემო ბატონო, და როგორც დაანათეფს მზე და დანამულია, გო...გაჩთება და მერე ის ახლო არი მიწასთან და მიწისგან უ̂ორთქდება ეს და სოკოუ̂ანი დაავადებაა ეს ჭრაქი, ჩემო ბატონო და უ̂აზს უჩთება უ̂ორნაირი დო̄ვადება, ძირითადათ, ჭრაქი და ნაცარი. ჭრაქი თუ გედევიდა მტევნებზე, მოწყუ̂იტაუ̂ს ტევანს და ჩამოუ̂არდება. თუ გოდურჩა ე სუყუ̂ელაფერს და ჩამოყალიბებულია, მაგრამ ნაცრის საწინააღმდეგოთ თუ არ შეწამლე, დასკდება, მიაყრის მართლაც ნაცრისნაირათ, ჰოდა მოკლეთ, აღარ უ̂არგია აღარც ხარისხით უ̂არგია და მოსავალიც ძაან დაბალია.

დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ფონდი G, კასეტა №3.

ღონღაძე სიმონ. სოფელი სავანე; 4.10.2003 წ.

მომძიებელთა ჯგუფი: მაია მიქაუტაძე, ლია რუსაძე, ელგუჯა ქავთარაძე.